№212
16-09-0

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-492

ქ. თბილისი "16" 09 2009 წ.

შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ წარმოდგენილ „მდ. რიონზე, ბათუმი-სამტრედიის სარკინიგზო გადასარბენის 99 კმ-ზე, სარკინიგზო ხიდის მოწყობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების" ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №81; 10.09.09წ მდ. რიონზე, ბათუმი-სამტრედიის სარკინიგზო გადასარბენის 99 კმ-ზე, სარკინიგზო ხიდის მოწყობაზე.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. შპს „საქართველოს რკინიგზა"-მ უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება.
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №81. 10.09.09წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭანტურიას მოხსენებითი ბარათი.

ალექსი მაჭავარიანი
მინისტრის პირველი მოადგილე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი